

ბილოცავთ! ბილოცავთ! ბილოცავთ!

ბოლო ხარი და სასწავლო წლის შემოდგომა

სკოლა „ცოდნის“ კარბად ხილული საუნჯე



გურამიშვილი წერდა: „ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა... აქვს უხილავი საუნჯე...“ ამჯერად, შპს „ცოდნის“ ხილულ საუნჯეზე გვექნება საუბარი. ეს გახლავთ დიდი დირექტორის ნაზი ნადირაძის, მოადგილეების: ნინო მელქაძის, რუსუდან ფარეხელაშვილის, შალვა და ზაზა ნოზაძეების, პროფესიონალი, ძლიერი პედაგოგების ღვაწლით მიღწეული შედეგები. „წინილებს შემოდგომაზე ითვლიანო“. სკოლის შემოდგომა კი, წელს - 15 ივნისია. ვნახოთ, რამდენი წინილა დაითვალეს? ამას გავიგებთ ადგილობრივი პედაგოგ-ყურნალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან.

ითქვას, რომ ისინი „ცოდნას“ დიდი ოჯახის პატარა ღირსეული წევრები არიან, რომლებმაც თანდათან უნდა ჩაანაცვლონ უფროსი თაობები.

რაც შეეხება, უფროს თაობას...სკოლა „ცოდნაშიც“ დაირეკა მეთორმეტეკლასელთათვის ბოლო ხარი — ჩვენთანაც იყო სიხარული, სიხარულის ცრემლი, სკოლასთან დამშვიდობების სევდა, სიამაყის განცდა, ყვავილები, ნარწერები თეთრ პერანგებზე, კეთილი სურვილები, „ნითელი ხალიჩა“, უკვე დიდობის შეგრძნება და ალბათ ცოცხალი სინანულიც... განსაკუთრებით ემოციური იყო „ბოლო ხარი“ რუსუდან ფარეხელაშვილისთვის, მეთორმეტეკლასელთა დამრიგებლისთვის, მშობლებისთვის...

სასწავლო-აღმზრდელითი მუშაობა „ცოდნაში“ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და ერთუზიანებით მიმდინარეობს. სკოლა ეხმაურება ყველა ღირსშესანიშნავ თარიღს, ნამოწყებას,



გუნდურობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების, სხარტი და ლოგიკური აზროვნების განვითარების მიზნით „ცოდნაში“ ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრი „რა, სად, როდის?“. თამაშში მონაწილეობდნენ მე-7/1 და მე-7/2 კლასის მოსწავლეები.

14 აპრილი, დედაენის დღე, და „ანბანის გაცილება“ პირველკლასელებმა დედაენის ბაღში აღნიშნეს. დედამინის დღესთან დაკავშირებით მოამზადეს

პრეზენტაციები ბუნების დაცვის თემაზე; სკოლის ეზოში დარგეს ნერგები; ფიზიკის კლუბ „ოცტაცორე“-ს წევრებმა (X კლასი, ხელმძღვანელი ბელა თოდუა) დაამზადეს სენსორული შუქნიშანი და ასეთივე ნაგვის ურნა. ყოველივე ეს მოსწავლეებში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებასა და გარემოსადმი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება— გაუმჯობესებას ემსახურებოდა, რაც ზოგადი განათლების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია.

წინასააღდგომოდ სკოლაში დაიგეგმა საექვლმოქმედო პროექტი „სიკეთე გვახალისებს“. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა სასკოლო



საზოგადოების ყველა რგოლი: დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სხვადასხვა საფეხურის კლასები, მშობლები, მასწავლებლები. ღია სივრცეში გამოიფინა და გაიყიდა მოსწავლეთა ხელით დამზადებული სააღდგომო დეკორაციები, ხელნაკეთი ნივთები (მძივები, სამაჯურები, ნახატები) და ტკბილეული. შემოსული თანხა და საჩუქრები გადაეცა ავჭალის სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრ „აისს“ და თემში მცხოვრებ სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს.

კერძო სკოლა „ცოდნა“ მზადყოფნით გამოეხმაურა განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილ და სკოლებისთვის განსახორციელებლად მიცემულ პროექტს „ჩემი თვლით დანახული აფხაზეთი“.



ასეთი შედეგებით ნებისმიერი სკოლა იამაყებდა

კერძო სკოლა „ცოდნა“ 28 წლისაა... ეს უკვე ისტორიაა! ..სირთულეებით, დიდი შრომით, წარმატებული პროექტებით, სვალინდელზე ზრუნვით, დროდადრო შიშით, სიხარულით, ცრემლით, სიამაყით შექმნილი ისტორია... „ცოდნას“ ისტორიის ფურცლებს ავტორები ჰყავს: ქალბატონი ნაზი ნადირაძე, სკოლის დამფუძნებელი და დირექტორი, დირექტორის მოადგილეები — ნინო მელქაძე



და რუსუდან ფარეხელაშვილი და პროფესიონალ მასწავლებელთა გუნდი — ერთსულოვანი, საერთო საქმისთვის დავდაუზოგავად მშრომელი, ერთმანეთის პრობლემების გამზიარებელი, მოსწავლეთა სწავლა-განვითარებაზე ორიენტირებული.

კერძო სკოლა „ცოდნაში“ 3 პირველი კლასია. მათ სწავლებასა და სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნავენ დანაყოფის კლასების უფროსი მასწავლებლები: თინათინ ბლიაძე, ეკა თევზაძე და მარიამ მოდებაძე. დღეს, 2022-2023 წლის მიწურულს, მათ მოსწავლეებზე უკვე შეიძლება თამამად

ღონისძიებას... გეგმავს და ახორციელებს საექვლმოქმედო პროექტებს მოსწავლეთა მაღალი ჩართულობით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში პიროვნული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარება—ამაღლებას.

სკოლა „ცოდნა“ ღირსეულად გამოეხმაურა წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს. მანამდე სკოლაში მოეწყო „Ria biblioTeka“ (proeqtis apvtori mariam nadiraZe). წიგნების შეგროვებაში ჩართული იყო მთელი სკოლა. პროექტმა გაამართლა — მოსწავლეები მეტი ერთუზიანებით ჩაერთვნენ ქართული და უცხოური ლიტერატურის კითხვაში.

„დედის დღესთან“ დაკავშირებით, გარდა შიდასკოლასო აქტივობებისა, სკოლა „ცოდნაში“ აქტიური მონაწილეობა მიიღო აკადემია „გვირილასა“ და ასოციაცია „საქართველოს ქალბატონების“ მიერ განხორციელებულ პროექტში „ქალთა დღე“. მეორეკლასელი „ცოდნელები“ მხიარული საცეკვაო ნომრით წარდგინეს მაყურებლის წინაშე (ქორეოგრაფი ვლადიმერ დოგრაშვილი).

მოსწავლეებში ურთიერთთანამშრომლობისა და



სკოლა „ცოდნის“ კარბად ხილული საუნჯე

პირველი გვერდიდან



მოენყო პროექტის კვირეული. სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს გადაუწვინდათ დავალებები. IX კლასის მოსწავლეებმა დაამზადეს ქართულ-აფხაზური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ილორის, მაკეტი (ხელმძღვანელები: **ლიკა მღებრიშვილი** და **ცილა ცაბაძე**); VI კლასელებმა არსებული პროექტის ფარგლებში შექმნეს ხელნაწერი ურნალი „**გამარჯობა, აფხაზეთო, შენი**“ (იდეის ავტორი ისტორიის მასწავლებელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ქეთევან მანია**, კლასის დამრიგებელი **ნინო მელქაძე**), რომელშიც შეიტანეს აფხაზი თანატოლებისადმი „გაგზავნილი“ პირადი წერილები, უფროსკლასელთა მიერ დანერგილი ჩანახატები, ლექსები, ესეები აფხაზეთის თემაზე.

„ჰოლივუდი და მეცნიერება“ — ამ სათაურით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც XI კლასელებმა (დამრიგებელი **ლია ბაზაძე**) შეარჩიეს სამეცნიერო თემატიკაზე გადაღებული მხატვრული ფილმები („გააპე წყალი“ — **სალომე ქობულაშვილი**; „ვერტიკალური ზღვარი“ — **ლუკა კახიანი**; „ბინდი“ — **ვალერია კაცაძე**; „ექიმი ჰუსი“ — **სალომე ჩანტლაძე**; „ეპიდემია“ — **ირაკლი სოფრომაძე**; „ადელაინის ასაკი“ — **ნიკა ალავეძე**; „კოსმოსი“ — **ცოტნე კალმახელიძე**) და მათ ფონზე ახსნეს ქიმია—ბიოლოგიაში შესწავლილი საკითხები (მასწავლებელი **რუსუდან ფარეხელაშვილი**).

სასწავლო წლის განმავლობაში „ცოდნაში“ სწავლა—სწავლების გამრავალფეროვნების მიზნით

აქტიურად იგეგმება გასვლითი, შემეცნებითი ხასიათის გაკვეთილები. კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები აქტიურად ზრუნავენ მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროებებზე, მათ მრავალმხრივ განვითარებაზე. ამ მიზნით სტუმრობენ ქალაქში არსებულ მუზეუმებს, საგამოფენო სივრცეებს, დედაქალაქის კოლორიტულ უბნებს, ეცნობიან დედაქალაქის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს.

განსაკუთრებული გულსხმიერებით გამოირჩევიან სკოლის ტექნიკური პერსონალი: **ექიმი - შორენა ნამურაძე**, **მედა - ციური ავჭოვაშვილი**, **ოფისმენეჯერი - მარიამ ჯაშიაშვილი**, **ფინანსური მენეჯერი - თინათინ ნოზაძე**, **სო მენეჯერი - ზურაბ ნადირაძე**, **უსაფრთხო სკოლის მენეჯერი - ვახტანგ კიკნაძე**, **ადმინისტრატორ-მრჩეველი - ნანა დიასამიძე**,



კვების ბლოკის მომსახურე პერსონალი- **ნანა კობრიძე**, **თინათინ მაღლაკელიძე**, სკოლის უსაფრთხოების მენეჯერი - **გიორგი ნადირაძე**, ფსიქოლოგი - **რუსუდან კილაძე** და სხვები.

სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობაში აქტიურად ლეზულობდნენ მონაწილეობას პედაგოგის თანამშრომლები: **შორენა მოდებაძე**, **ნატო შალიკაშვილი**, **თამარა მურადაშვილი**, **ნანა ჯაფარიძე**, **ქეთი ჭუმბურიძე**, **ლალი მჭედლიძე**, **ელისო ბერუაშვილი**, **ციური ცერცვაძე**, **ქეთევან კალანდაძე**.

ალსანიშნავია მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში:



ვალერია კაცაძე, **ნუკი ნანილაშვილი** და მშობელთა სასკოლო საზოგადოების ჩართულობა: **თავმჯდომარე - მარიანა ნანილაშვილი**.

ივნისის პირველ კვირას დაგეგმილია პროექტის „მოგზაურობა დედამინის გარშემო“ კვირეული. მოსწავლეები და მათი დამრიგებლები მალაღობა პასუხისმგებლობით ემზადებიან აღნიშნული ღონისძიებისთვის. პროექტის მიზანია მსოფლიო ხალხთა კულტურის ახლოს გაცნობა მოსწავლეებში ტოლერანტობის დონის ამაღლების მიზნით.



„ცოდნელები“, სულხან—საბასი არ იყოს, „ფრთხილის შემნახავის ბარეულნი“ არიან და „ხელოვანის მებალის შეწვრთილნი“, კარგი ხე კი ნაყოფსაც კარგს იძლევა... ამ იმედით წვრთნიან „ცოდნაში“ მათთვის მიზარებულთ მასწავლებლები და უკეთეს შედეგებსაც ელიან...

ლია ბაზაძე, სათუნა ბრეკლიძე,

ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებლები.

რედაქტორის მინაწერი: დაინყო ზაფხულის არდადეგები. თქვენც გაითვალისწინეთ: „გიგლა, გეყოფა სწავლა, ახლა კარგია გავლა“. ჯანმრთელები, გაკაუებულნი, დამშვიდებულნი შეხვედროდეთ ახალ სასწავლო წელს, „ცოდნელებო“!



იუმორისტული წუთიშესვენება

წინაპართა შებონებანი

ტაქსტი - ჩვენი,
ქვეტაქსტი - თქვენი

ბრიბოლ ორბელიანი

რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს,
წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!

რაღაა ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი,
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექნეთ ნუგუმცემელი.

მუხრან მაჭაპარიანი:

შენ, ერო ჩემო, შენი წუხილი
და გასაჭირი ბევრჯერ მიგრძვინა,
საქმე, რომელიც გეწოთირება,
ვცდილობ, გამორო რაც შემიძლია.

შენ, ერო ჩემო, ბევრჯერ ტანჯულო,
მუდამ მებრძოლო და უცნაურო,
საბედნიეროდ, საბედნიეროდ,
ჰაიპაი, რომ კიდევ ხმაურობ!

აკაკი

გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას მონებდა,
გამიკვირდა! ესთქვი მტერს როგორ მონებდა?
მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები,
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!

წვრილმანები, რომლების მსხვილმანებზე მატია

ვის არ სმენია, ვის არ უნახავს,
აშშ ელჩი დეგნანი კელა,
არ დაარქმევდნენ მშობლები კელას,
რომ მათ ცოდნოდათ, რა არის კელა.

არ მეშინია შენი მეუქარის

ბაიდენი: დაგასანქცირებ,
უნდა მოგიწყო დიდი აქცია.
პუტინი: არ მეშინია მე აქციების,
შუბლზე მიიკარ შენი სანქცია.

სანქციების ბუმი

სანქციები, სანქციები! ვინც კი იყო ჩუმია,
სანქციები! მსოფლიოში სანქციების ბუმი,
დამნიფებულს ასანქცირებს, ის ვინც ჯერაც უმია.
კოლო ლომსაც ემუქრება, სანქციების ბუმი.

ერთ პარტიას

ვერვინ გიშველით გონებით,
ფუჭად, ამაოდ იკვეხნით,
ერთმანეთს დაჭამთ უთუოდ,
როგორც ჭაბუას ვირთხები.

ვინ არის?

მას რუსეთის პასპორტი აქვს, მაგრამ თურმე
ფულსაც იღებს რუსულსა და ჩვენ ვყოფილვართ რუსე-
თუმე?

რუსეთის მსიჯი ვიზის გაუქმებაზე

თუ არ გინდა სიკეთე და პური, ყველი,
ჯერჯერობით სხვა დათმობას ნუღარ ელით.

ღირსეულ თაობებს ზრდის



ქალაქი გორი მართლაც ქართლის გულია. ვინ მოთვლის, რამდენ ისტორიულ ქარტახს გააფურცლა მასზე, ვინ მოთვლის, რამდენი სასახლო მამულიშვილი დაბადებულა და აღზრდილა აქ. სამშობლოსათვის თავდადება, ეროვნული ღირსება, ტრადიციების პატივისცემა და სათუთად შენახვა გორელების ძირითადი თვისებები იყო, არის და იქნება!

ღირსეული თაობების აღზრდის საშვილიშვილო საქმეს. ამის ერთი თვალსაჩინო მაგალითი **ზაზა ბირთველიშვილის სახელობის გორის მე-7 საჯარო სკოლაა**, რომელსაც სათავეში განათლების დარგის გამოცდილი მუშაკი, ბატონი **ნოდარ იარღანაშვილი** უდგას.

მცოდნე, გამოცდილი პედაგოგების, რომელთაგან 54 –



უფროსი, 16 – ნამყვანი, 1 მენტორი მასწავლებელია, უმთავრესი ორიენტირი მოსწავლეა.

სასწავლო პროცესი თითოეულ მოსწავლეს მოიცავს. მიზანმიმართულად, ურთიერთშეთანხმებულად მუშაობს სკოლის ყველა საგნობრივი კათედრა. დირექცია ყოველმხრივ უწყობს ხელს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებას. მოსწავლეები წარმართულნი არიან სხვადასხვა რანგის მრავალ კონკურსში, პროექტსა თუ ოლიმპიადებში. ყველაზე გამორჩეულნი წარჩინებით ამთავრებენ სკოლას. 2022-2023 სასწავლო წელს 12 ოქრო და ერთი ვერცხლის მედალოსანი ჰყავთ.

თუ საძიკველი მტკიცეა, ზედნაშენიც ხარისხიანი იქნება. ამიტომ ექცევა სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება დანებით განათლებას. სწორად, ყმანვილების გონებრივი თუ ფიზიკურ-ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით წარმართული დანებით სწავლების ესტაფეტას მომდევნო საფეხურების პედაგოგები იბარებენ და ცოდნისა და გამოცდილების სრული ძალისხმევით ასევე ხარისხიანად განაგრძობენ ყმანვილებთან მუშაობას.

წლეულს, მარტში 15 მოსწავლეს პროექტ „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში გადაეცა პორტაბელური კომპიუტერები.

თუ უშუალოდ სასწავლო პროცესის მიღმა გადავიხე-

ქნოლოგიების მასწავლებლები: **ნინო ბერიძე, სვეტა გორგიშვილი, გიორგი კუპრიაშვილი, ნონა ხეჩიკაშვილი.**

წარმოადგინეს პროექტი „ახალი წელი ჩვენს ქუჩაზე“. პრეზენტაციაზე იმჯელეს მათემატიკის, ფიზიკის, ინჟინერიისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების როლზე მათ პროექტში. აღნიშნეს, რომ ქუჩის განათებისათვის ფოტორეზისტორი გამოიყენეს, ხოლო შუქნიშნისა და თხევად-კრისტალური ეკრანისათვის არდუინოსთვის ერთობლივი კოდი შეიმუშავეს.

მოგეხსენებათ, ეს საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა. სკოლაც ცდილობს ფეხი აუწყოს თანემედროვეობის მოთხოვნებს, რისი დასტურიც მოსწავლეთა დაინტერესებაა პროგრამირებით. ყმანვილებმა, თავდაპირველად, **Tinkercard**-ის პლატფორმაზე შეიმუშავეს სქემა, დაწერეს კოდი, დასრულებული ნამუშევარი კი არდუინოს მონეობილობაზე გადაიტანეს.

სკოლა ეკოლოგიურ პრობლემებსაც უღრმავდება. მოსწავლეები ეცნობიან, როგორი ეკოლოგიური საფრთხეები ემუქრება დედამიწას და მათ თავიდან აცილების საკუთარ ხედვას აყალიბებენ. ეკოსკოლების პროგრამის სამოქმედო გეგმის შესატყვისად, სკოლის კლუბმა „მწვანე მომავალმა“ ამ პროგრამის ფარგლებში განერილი აქტივობები განახორციელა. გაიმართა ეკოკლუბის წევრების ნახატებისა და მკეტების გამოფენა ბიომრავალფეროვნების თემაზე და ეს ღონისძიება დედამიწის დღეს დაუკავშირეს. ამ დღის აღსანიშნავად შედგა საინფორმაციო შეხვედრა. კლუბის წევრებმა ბიომრავალფეროვნების საფრთხეები წარმოაჩინეს და განხორციელებული აქტივობე-



ბი განიხილეს, რაც დედამიწის ეკოსისტემის დასაცავად არის მიმართული ლოზუნგით: „ჩვენი პლანეტა ჩვენს ხელშია!“

მჯერა, ასე და ამგვარად აღზრდილი ყმანვილები, მართლაც იზრუნებენ ჩვენი საერთო სახლის – დედამიწისა და, სახელდობრ, საქართველოს ეკოსისტემის დასაცავად.

ქრისტიანულად, ყოველი ადამიანი მოყვასია. უნდა ვიზრუნოთ მოყვასთა კეთილდღეობისათვის, მით უფრო, როცა მას გაჭირვება ადგას. ესეც უწყიან მე-7 სკოლაში და მასწავლებლებმა და მშობლებმა საქველმოქმედო აქცია გამართეს უკრაინელი ხალხის დასახმარებლად.

მოკლედ, ასე ასწავლიან, ასე ზრდიან გორის მე-7 საჯარო სკოლაში მოსწავლეებს. ასე უზრდიან სამშობლოს ღირსეულ თაობებს.

მარიამ ხატიაშვილი-ბურბანიძე

შეხვედრა პოეტთან

მშობლიურ სკოლაში ბავშვობის გახსენება



მიმდინარე წლის 18 მაისს, სოფელ სკრის საჯარო სკოლაში შეხვედრა მოუწყო ამ სოფელში აღზრდილ მცხოვრებ პოეტს, **ზურაბ მამულაშვილს**. მას შეხვედრის სკოლის მოსწავლეები, ღონისძიების ორგანიზატორი, სოფლის გამგებელი, რამოდენიმე სოფლის მკვიდრი, პედაგოგები და სკოლის დირექტორი.

სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ლანა ფერაძემ** მოსწავლეებს წარუდგინა პოეტი **ზურაბ მამულაშვილი** და შეხვედრაც დაიწყო. **ზურაბ მამულაშვილმა** მოსწავლეებსა და დამსწრე საზოგადოებას აუხსნა ასეთი შეხვედრების აუცილებლობა. ხაზი გაუსვა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვების სიახლოვე შემოქმედებაშია და მათთან ურთიერთობა, პატივისცემა და სიყვარული. ასეთი შეხვედრები საკმაო სულიერ საზრდოს მი-

ანვდის მომავალი თაობის პოეტებს, მწერლებს, მსახიობებს და სხვათა.

შემდეგ პოეტმა თითქმის ყველა ბავშვს საჩუქრად გადასცა, როგორც საბავშვო, ასევე საკუთარი სხვა წიგნები და სამახსოვროები. ბავშვებმაც არ დააყოვნეს და პოეტს მისი შემოქმედებიდან ხალისით წაუკითხეს საბავშვო და ლირიკული ლექსები.

პოეტს და ბავშვებს მიესალმნენ და სიტყვით გამოვიდენ მეგობრები: ქალბა-



ტონი **ეთერ ზარიძე**, რომელიც სამი ათეული წლის წინ ამ სკოლაში პედაგოგად მუშაობდა. მას გულთბილად შეხვედრენ ყოფილი მოსწავლეები და ენა ვერ აღწერს მათ ამალღებულ შეხვედრას. ასევე ბავშვებს მოუფერნენ და პოეტს მიესალმნენ: **დეზი ემანუიძე, მანანა კორძაია, გერმანე საზანოელი, ზურაბ ქობალია, პაპუნა ქვარიანი** და რეჟისორ-ოპერატორი **ნიკო ბალაშვილი**.

ასევე პოეტს მიუფერნენ და ბავშვობა გაიხსენეს მისმა თანასოფელელმა მეგობრებმა: **შეხვედრის ორგანიზატორმა მანანა მამულაშვილმა, ვენერა ძაბახიძემ, ცისნამი ყაჩლაშვილმა, მაგალი ინდუაშვილმა** და სოფლის გამგებელმა **ილია ოქრიაშვილმა**.

საინტერესო შეხვედრა დასრულდა პოეტის შესანიშნავი ლექსით „ენა ქართული“.

საკუთარი ინფორმაცია



აქ ყოველი დღე ლამაზია



თბილისის 208-ე ბაგა-ბაღში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, პროფესიონალთა კოლექტივთან ერთად წარმართავენ დირექტორი **ნანა არჩვაძე**, ადრეულ ასაკში მნიშვნელოვანია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, პოლისტური თუ ფსიქო-ემოციურად სწორი განვითარება. დაცულ, კეთილმოწყობილ და თბილ გარემოში პატარები თავს ბედნიერად გრძნობენ. მაღალია მუშაობის შინაარსობრივი მხარე. ჯგუფებში ყოველი დღე დილის შეხვედრით, ერთმანეთის მოკითხვით და ფიზიკური აქტივობებით იწყება;

ბაღში ფუნქციონირებს 6 ასაკობრივი ჯგუფი. ბაგა (2-3 წლიანები) – აღმზრდელი

ლოია მულტიდისციპლინარული გუნდი – სპეც. პედაგოგი ნათია ცომაია, ფსიქოლოგი ნინო ზანგალაძე, ლოგოპედი შორენა კურტიანიძე;

ბაგა-ბაღი აქტიურად არის ჩართული სააგენტოსა და მერიის მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და ღონისძიებებში. მულტიდისციპლინარულმა გუნდმა, აღმზრდელებმა და დირექციამ ბევრი ლამაზი დღე

„ციცინათელებმა“ „წყლის სამყაროში“ იმოგზაურეს, თავისი სიტყვებით გადმოსცემდნენ ინფორმაციას წყლის ცხოველებისა და მცენარეების შესახებ.

„ჭიამაიებმა“ წარმოადგინეს პროექტი „პატარა მზარეულები“ და ბუნების ნიაღში კულტურული აქტივობებით დაკავდნენ; სასკოლო მზაობის ჯგუფში ჩატარდა მხიარული

ლია მულტიდისციპლინარული გუნდი – სპეც. პედაგოგი ნათია ცომაია, ფსიქოლოგი ნინო ზანგალაძე, ლოგოპედი შორენა კურტიანიძე;

ბაგა-ბაღი აქტიურად არის ჩართული სააგენტოსა და მერიის მიერ ორგანიზებულ პროექტებსა და ღონისძიებებში. მულტიდისციპლინარულმა გუნდმა, აღმზრდელებმა და დირექციამ ბევრი ლამაზი დღე



ციასა და კოლექტივთან, ხდება ინფორმაციის გაცვლა და ურთიერთთანამშრომლობის შედეგიც სახეზეა.

ბაგა-ბაღის ლამაზ და მოვლილ ეზოში აღსაზრდელებსთვის მოწყობილია სხვადასხვა გასართობი სივრცე, სადაც ტარდება ეზოს აქტივობები, თამაშობენ ფეხბურთს, კალათბურთს, კეგლს, მაგიდის ჩოგბურთს, აწყობენ სპორტულ შეჯიბრებებს, მხიარულ სტარტებს და ყოველი დღე მხიარული და მრავალფეროვანია.

ნანა არჩვაძე: „ჩვენ კი, ყოველი შედგომი ლამაზი და საინტერესო დღისთვის, ძალას გვმატებს პატარების გულწრფელი სიტყვა – „მეყვარხარ...“



აჩუქეს პატარებს. ეს იყო ნიგნის კითხვის, დაუნის სინდრომის, აუტიზმის ცნობადობის ამალაგების საერთაშორისო დღეები; სასკოლო მზაობის ჯგუფმა „მერცხლებმა“ დაეძინეს დღე და გაზაფხულის შემობრძანება იზიჟიმეს;

„ვარსკვლავებმა“ წარმოადგინა პროექტი „ცირკი“, სადაც ყველა აღსაზრდელს შერჩეული და მორგებული ჰქონდა საცირკო წარმოდგენის საკუთარი ნომერი; ასევე, დაგეგმეს და განახორციელეს უსაფრთხოების თემა და იმიტაციები, რაც ბავშვებისთვის საინტერესო და სახალისო იყო.

სტარტები და სპორტული შეჯიბრებები;

ყველა ასაკობრივ ჯგუფში თემატური აქტივობების, ღონისძიებებისა და პროექტების საუცხოო მუსიკალური გაფორმება, მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების – **ინგა სვანაძის, მარი ლაღანიძის და ლელა ქუშაშვილის** დამსახურება;

ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა გადანყვეტილებას მშობლებს აცნობენ, მათ აქვთ შესაძლებლობა ჩართულები იყვნენ ღია კომუნიკაციაში დირექ-



ნათია ბურბანიძე



აღსაზრდელებზე დაკვირვება, ინდივიდუალური გეგმის შედგენა, სასკოლო უნარების, მათემატიკური და ლოგიკური აზროვნების სავარჯიშოებისა და აქტივობების ჩატარება, წარმატებით ხორციელდება სასკოლო მზაობის ჯგუფებში: „ცეროდენები“ – აღმზრდელი **ხათუნა ლომსაძე**, აღმზრდელის თანაშემწეები **თამარ მარლიშვილი** და **ცირა ჩხილაძე**; „მერცხლები“ – აღმზრდელი **ნინო ქათამაძე**, აღმზრდელის თანაშემწეები: **მზია ცნობილაძე** და **ეკა ქურციკიძე**;

ყოველდღიური აქტივობების, პროექტებისა და პრეზენტაციების მოწყობის პროცესში, ასევე, გრძელვადიანი მიზნების დასახვასა და მათი მიღწევის გეგმის შედგენასა და განხორციელებაში, აღმზრდელებთან და მშობლებთან ერთად, ჩართუ-

ეფექტიანი სააღმზრდელო პროცესი



დასასრულს უახლოვდება წლებიანდელი სასწავლო წელიც, თუმცა თბილისის მე-60 ბაგა-ბაღი (დირექტორი **მარინე სამსონიძე**) როგორც „ზაფხულის ბაღი“ კვლავ განაგრძობს ფუნქციონირებას. დირექტორის დაუღალავი შრომის შედეგად, აქ უკვე წლებია მოწესრიგებულია ფიზიკური გარემო და ეფექტიან სააღმზრდელო პროექტებშიც არიან ჩართულები, რაშიც საკუთარი წვლილი შეაქვს კოლექტივის თითოეულ წევრს: დირექტორის მოადგილე **თინათინ ბიამიშვილი**, საქმისმწარმოებლებს – **დალი ნიაურს, ქეთევან ანდლულაძეს, ნინო ლომსაძეს**; ჯანმრთელო-

ბისა და პიგიურული უზრუნველყოფის კოორდინატორებს – **ქეთევან კახოშვილს, თინათინ მარტიაშვილსა და მაკა კაციაშვილს**;

ინკლუზიური განათლების პოლიტიკისა და ახალ პროგრამებში ჩართულობის დღიდან, ბაღში წარმატებით მუშაობს მულტიდისციპლინარული ჯგუფი: ჯგუფის ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ნინო ბიამიშვილი**; ფსიქოლოგები – **ირინე ცხრიძე, მანა ყორყორიანი**, სპეც. პედაგოგები – **შორენა გოცირიძე, თამარ ჯოსაძე-გეგეშიძე, ირმა კუპატაძე**; ლოგოპედები – **მზია სტივლია, ქეთევან ხუცურაული**; მეთოდისტიც და მხარე **ნანი ჭირაქაძე**; ისინი ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა გადანყვეტილებას მშობლებთან ერთად იღებენ.

პატარებისთვის საინტერესოდ მოწყობილ გარემოში, მათი შემოქმედებით, შემეც-

ნებით, მოტორული უნარების განვითარებაზე ზრუნავენ პროფესიონალი აღმზრდელები: **ქეთევან პაპოშვილი, ცილა მახაროშვილი, ციცილო სხირტლაძე, მზია ორჯონიკიძე, ცილა ჩაღვაძე, დინა შარიქაძე, ნინო ბოკუჩავა, ჯულიეტა სოსაძე, გიული ბარნაბიშვილი, ფატიმა ოდიშარი, ნათია ხუნაშვილი, ირმა გოგიბერიძე, თამარ სოიტაშვილი, თამარ ნინიაშვილი, ხათუნა ქართველიშვილი, მანა მახაჭაშვილი**; 4 მზაობის ჯგუფ-

ლენა ხუდოევა, თამარ ორჯონიკიძე, ზაირა გედევანიშვილი, ლელა კანდელაკი, ნინო გიორგობანი, ქეთევან სამხარაძე, ეკატერინა ოდელაძე, ირინე გელაშვილი, ნაზბროლა ოგბაძე, ნონა ხერგიანი, ნინო გენებაშვილი, იზა ბოლქვაძე, ლამარა ბაქრაძე, მირანდა სირბილაძე, თამარ მაისურაძე, სოფიო მაჩაიძე, ეკატერინე ბასილიძე, მთვარისა ობოლაძე, მანოლი ღვინაძე, ნინო შამანაური, ანა ამილახაძე.

ბაღის 13 ჯგუფში 470 აღსაზრდელია. თითოეულ ჯგუფში მხიარულად წარმართული აქტივობები მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების – **ლელი ლორიას, ქეთევან ზუბიაშვილისა და მანანა მამალაძის** დამსახურებაა.

კეთილმოწყობილ სამზარეულოში პატარებს უგემრიელესი კერძებით უმასპინძლებიან მზარეულები – **მანანა ქაჩილიშვილი, ციცილო მილაძე, ლანა გუბელაძე, დარეჯან ივანაშვილი**; მოწესრიგებულ და უსაფრთხო გარემოზე კი



ტექნიკური პერსონალი – **მზია ქანკოტაძე (მნე), თამარ როხვაძე (მნე და მხ.)** ცილა პეტროსიანი, ქეთევან გეგეჩორი, მზია აბუაშვილი, ნანი ქალიაშვილი, ეთერ ბოლქვაძე, ნუნუ ბალამნარაშვილი, ინგა გურგენიშვილი, ნანა სამნიაშვილი, თამარ ყუბანეიშვილი, სერგო ქულუაშვილი, თამარ მინდორაშვილი, გოჩა პეტროსიანი, ზურაბ სირაძე, ზაზა მიქელაძე – ზრუნავს.

შრომის შედეგი სახეზეა და იმედია, ამ ბაგა-ბაღს კვლავ წარმატებულთა შორის ვიხილავთ.



ში კი წარმატებით უძღვებიან ყოველდღიურ აქტივობებს, პროექტებისა და პრეზენტაციების მოწყობის პროცესს.

აღსაზრდელების დადებითი ემოციებით დამუხტვა, მათზე ზრუნვა, ალერსი და კეთილგანწყობის მოპოვება აღმზრდელის თანაშემწეების დამსახურებაა: **ლუდა ფარსადანიშვილი, ლაურა ლიჩელი, სოფიო ჯოლია, ნინო კუსიანი, ანასტასია ლევერაშვილი, მაკა ხაჩიური,**



ტივობები მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების – **ლელი ლორიას, ქეთევან ზუბიაშვილისა და მანანა მამალაძის** დამსახურებაა.

კეთილმოწყობილ სამზარეულოში პატარებს უგემრიელესი კერძებით უმასპინძლებიან მზარეულები – **მანანა ქაჩილიშვილი, ციცილო მილაძე, ლანა გუბელაძე, დარეჯან ივანაშვილი**; მოწესრიგებულ და უსაფრთხო გარემოზე კი



ნათია გუგუნავა

პატარებს სკოლაში გააცვიფრებენ



213-ე ბაგა-ბაღი პატარებისთვის ერთ-ერთი საყვარელი საბავშვო დაწესებულებაა. იგი დიდ დილომში მდებარეობს და საკმაოდ ფართო ტერიტორიას მოიცავს (4900 კვ.მ.). აქ ეზო მოასფალტებული, შემოგარენი - თვალწარმტაცი და მშვენიერია, მრავალად არის მწვანე ნარგავები, ყვავილები, მონესრიგებული გაზონები, ჯებირები და ასევე, დამონტაჟებულია საბავშვო ატრაქციონები. შენობის ინტერიერი თუ ინფრასტრუქტურა კარგ მდგომარეობაშია და პატარების უსაფრთხოებაც დაცულია.

საშვები ჯგუფის ღონისძიებისთვის ემზადებიან. აღსაზრდელები სკოლისთვის სათანადოდ არიან მომზადებული და აქაურობას მალე გამოემშვიდობებიან.

ნინო ლომინიძე, დირექტორი: ჩვენს ბაგა-ბაღში შესანიშნავად განხორციელდა „სასკოლო მზაობის“ პროგრამა. გვყავს ორი გამოსავლელი ჯგუფი და სულ მალე ვიზეიმებთ 31-ე გამოსაშვებ ღონისძიებას. აღსაზრდელები გაახარებენ მშობლებს და წარმოუდგენენ იმ უნარ-ჩვევებს და ცოდნას, რაც ბაღში შეიძინეს. შესანიშნავად იმუშავეს ჯგუფ „ვარსკვლავების“ და „რჩეული ბავშვების“ აღმზრდელებმა - **ციხანა ნარიანიძემ** და **ლიზი ბაზერაშვილმა**. ასევე მინდა აღვნიშნო ჩემი მოადგილის **ნარგიზი ნილოსანის** თავდაუზოგავი შრომა. ბაგა-ბაღში სულ 9 ჯგუფია. სააღმზრდელო პროცესს კი, შესანიშნავად უძღვება მულტიმედია ცენტრის **ციხრა მუსელიანი**, მეთოდისტ **ციხრა მუსელიანი**, მეთოდისტი **ციხრა მუსელიანი**, თაოსნობით. საბავშვო ბაღი ტრადიციულად, მომზადებული

ლი შეხვდა სასწავლო წელს, ჯგუფები დაკომპლექტებულია ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით. შექმნილია კომფორტული გარემო და მშობლებიც კმაყოფილები არიან. შენობის ინფრასტრუქტურა შესაბამისად თანამედროვე სტანდარტებს და ბაღი აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკითა თუ მეთოდური სახელმძღვანელოებით. 213-ე ბაგა-ბაღი 1992 წლიდან ფუნქციონირებს და სულ 30 წლიანი მუშაობის სტაჟი აქვს. ამ ხნის მანძილზე აქ მრავალი თაობა აღიზარდა და დაფრთხილდა. მიხარია, რომ ბაღი საკმაოდ პოპულარული და მოთხოვნადი საბავშვო დაწესებულებაა. ჩვენთან უმაღლეს დონეზეა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური წესები. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ შენობის გარე ფასადი განახლებას მოითხოვს, მაგრამ იმედია, ქალაქის მერიის და ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით მოვანერგებთ. ნილოსანის, ბაგა-ბაღმა ავტორიზაციის ეტაპი და რეგისტრაცია გაიარა. ეს საჭიროა იმისათვის, რომ უფრო მეტად იყოს გამართული ბაგა-ბაღის ფუნქციონირება და მეთოდური განათლება თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამებოდეს.



პერსპექტიული მენეჯერია და იმედია, ბევრ კარგ სიახლეს განახორციელებს.

დირექტორის თქმით, სასწავლო სააღმზრდელო პროცესის გასაუმჯობესებლად შეიქმნა ადრეული განათლების კურიკულუმი, რომელიც ბავშვებთან მომუშაოებს პერსონალს ასწავლის თუ როგორ უნდა ხდებოდეს ბავშვის საგანმანათლებლო გარემოს ორგანიზება და კრეატიული გარემოს შექმნა. აღმზრდელები და მათი თანამშენებელი პატარებს შემოქმედებით უნარებს უფითარებენ და დედობრივ მზრუნველობასაც არ აკლებენ. შემოქმედებით პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები. ყოველწლიურად ტარდება სეზონური ღონისძიებები და სხვადასხვა აქტივობები.

213-ე ბაგა-ბაღი ერთ-ერთი მონიშნავს დისციპლინის და მეთოდური განათლების მხრივ. პედაგოგიური კოლექტივი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისგან შედგება. არიან ღვაწლმოსილი აღმზრდელები და

ახალგაზრდა თანამშრომლები, რომლებიც თანაბრად იზიარებენ ბაგა-ბაღის ტრადიციებსა თუ ძველი თაობის გამოცდილებას.

სამომავლო გეგმები ბევრია.. დირექტორი და მთელი კოლექტივი ყველაფერს ცდილობს იმისთვის, რომ ბავშვებს კომფორტული გარემო შეუქმნან და აქ გაატარებული წლები სამუდამოდ დაამახსოვრდეთ.

ანანო სამელია



ღონისძიება 207-ე საჯარო სკოლაში

„დაბრძანდა ოქროს ტახტზედა, პით მეფე, ქვეყნის მკურთხეული“



სასწავლო წლის დასასრულს თბილისის 207-ე საჯარო სკოლის (დირექტორი **ზურაბ ჩხაიძე**) მე-5 აკლასში (კლასის ხელმძღვანელი **შორენა ქორიაშვილი**) ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისადმი მიძღვნილი მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია – „ჩემს ტურფა მხარეს მკერდს დავაკრე სიტყვა ლამაზი, სიტყვა ქართული“ – წარმოადგინეს.



კომპოზიციის ავტორი და სულისჩამდგმელი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ნაირა ბერიაშვილი** გახლდათ. დარბაზი საოცრად ლამაზად იყო მორთული, მოსწავლეები – ნაირნაირ ფორმებში გამოწყობილიყვნენ, ცოტა ხნით მთავი გადგვიზნეს და მისეულ სამყაროშიც გვამოგზავნეს. ვაჟას ბადალი პოეტი ცოტა თუა ამ ქვეყანაზე და მისი თითოეული სიტყვა მარგალიტებად მიმოიფანტა ქართველთა გულში. ქალბატონმა ნაირამ სწორედ ეს მარგალიტები აკინძა და თითოეული მოსწავლის პირით აამეტყველა: „ხარს გვავარ ნაიალარსო“... დაინყო **თორნიკე ოდიანიძე** ღონისძიება გახსნილად გამოაცხადა. ვინ არ მოხიბლულაო ვაჟას ლექსებით, როგორ ესმოდა და გრძობდა მცენარეთა და ფრინველთა ენას – **ელენე ნადირაძე** გაგვახსენა; **თეკლა ანთიაძე** – ვაჟა-ფშაველა ზღაპრული ამირანის ღირსეული მემკვიდრეაო, **ანა ხიზანიშვილი** – იგი მხოლოდ სიმართლეს ღალადებდაო; **ანა ბურჯულიანი**: „დაბრძანდა ოქროს ტახტზედა, ვით მეფე, ქვეყნის მკურთხეული“... ვაჟა ალალი, გულლია ადამიანი იყო, გულში წყენას არ ჩაიდებდა. ბევრს ეგონაო, რომ აკაკის იუბილეზე არ ჩავიდოდაო – გვიამბობს **ნია ჭითავა**, მაგრამ მოულოდნელად გამოჩნდაო სცენაზე რაზიკაანთ დევი და საზეიმო ხმით დასჭექაო; **მარიამ კასრაძე** მოგვითხრო, როგორ უამბობდა მამა ვაჟას ლექსებს ძველი საღვთო ისტორიიდან, რომლის ზეგავლენა განსა-

კუთრებულად იგრძნობა ლექსში „**ჩემი ვედრება**.“ **საბა ბერიანიშვილი**: „ღმერთო მიიღე ვედრება, ეს ჩემი სათხოვარია“... **გიორგი მიქელაშვილი**: „ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადანი ცელობა, ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოლონდ ამშორდეს მგელობა“... **გიორგი პატარქელიძე**: „მამრომე საკეთილოდა, თუნდ არ მოვიმოკ ნაყოფი“... **საბა სალღიანი**: „ნუ დამასვენებ ნურასდროს, მამყოფე შეძრწუნებული“... **ზურაბ ოქრუაშვილი**: „მფარავდეს შენი მარჯვენა, კალთა სამოსლის შენისა“...



მეკუთვნის ქვეყანა, მთაში – მთა, ბარად – ბარია“... **ანასტასია ჩხეტიანი** – ადამიანმა ბუნების გრძეულ ენას უნდა მიუგდოს ყური, მისი უხილავი სულიერება ირწმუნოს; **თორნიკე რუხაძე**: „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონა თავისა“... **ილია ჯაჯანიძე**: „ხევი მთას მონებს, მთა – ხევსა, წყალნი – ტყეთ, ტყენი – მდინარეთ“... და ბუნების პირისპირ მედიდურად მდგარ ადამიანს ვაჟამ მიხლი მოადრეკინა ამ სასწაულის წინაშე, ცხოვრებისგან დაჯაბნილს კი – ხელი შეაშველა და ფეხზე წამოაყენა – **ელენე ნადირაძე**;

ჩხეტიანის დამსახურება. ერთმანეთთან შერწყმული ხალხური თუ ვაჟას ლექსებზე შექმნილი სიმღერები მუდმივ ფონად გასდევდა ლექსთა მხატვრულ კითხვას.

განუელი უდიდესი შრომისთვის და ლამაზად ჩატარებული ღონისძიებისთვის, პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მშობლებს სამადლობელი სიტყვით მიმართეს: დირექტორმა **ზურაბ ჩხაიძემ**, სასწავლო ნაწილის გამგე **ლია ჯანიანიშვილი**, პედაგოგებმა: **ნაირა ბერიანიშვილი**, **თამარ ბუჯირიშვილი**, **ნათელა ქინქლაძემ** და სხვებმა.

ნათია ბურბანიძე



პოეტისთვის ვაჟა-ფშაველა თუმ მეგობარ **დიმიტრი ცისკარიშვილს** შეურქმევიაო – **მარიამ ვაშაყიძე**; იგი მართალი სიტყვით საწყალ კაცს გულის იარას უშუშებდაო – **ლიზი ნათიძე**; **ანა კეყერაძე** – დიდი პოეტი მიჩინედა, რომ ბედნიერებაა, სხვას მოუტანო სიკეთე და გზასაცდენილი ჭეშმარიტების გზაზე დააყენო; **ლაზარე კასრაძე**: „საზარელია დადგომა უგრძობელოების გზაზედა“... ვაჟა მითის შვილი იყო და თავის მშობლადაც მთას თვლიდა. **ბარბარე გამგებელი** – „მოგესალმებით, ქედებო, მომაქვს სალაპი გვიანი“... **ბარბარე ღარიბაშვილი**: „მთლად მე

ლონისძიების დასასრულმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მოსწავლეებმა წარმოადგინეს სცენა ვაჟას ნაწარმოებიდან „**მელია სერფენია**“. ულამაზეს კოსტიუმებში გამოწყობილი პატარა მსახიობები: **ნიცა სიყმაშვილი** (მელია სერფენია), **საბა ბერიანიშვილი** (მელია როსტომელა), **თეკლა ანთია** (მელია ბაია), **მართა კასრაძე** (დეიდა), **ლიზი ნათიძე** (ხოხობი), **ანი ბურჯულიანი** (ნამყენი) საოცარი იუმორითა და არტისტიზმით თამაშობდნენ და მყურებელი მხიარულ განწყობაზე დააყენეს.

საუცხოო იყო კომპოზიციის მუსიკალური გაფორმება, რომელიც მუსიკის პედაგოგის **თამარ**

ასე ზრდებიან, ასე აკვლიანებენ, ასე აქართველებენ



სტანისლავსკის თქმით, თეატრი საგარდრობოდან იწყება. სკოლა საიდანღა იწყება? პედაგოგიდან და პედაგოგიტივე მთავრდება:

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.

ამიტომაცაა ჭეშმარიტი პედაგოგობა, ხელობა კი - არა, სულის მდგომარეობა, როცა ქვეყნისათვის, მისი ღირსეული მომავლისათვის ყველაზე საჭირო, რთულ ადგილზე დგახარ და სხვაგვარად არ ძალგდის.

სწორედ ასეთი სულისკეთება სუფევს რუსთავის მე-2 საჯარო სკოლაში, რომლის სამოცივე მასწავლებელს გასიგრძეგანებული აქვს სამშობლოსათვის მცოდნე, მამულის მოყვარული თაობების აღზრდის უდიდესი და საპატიო მისია და სათანადოდ ირჯება კიდევც.

ასეა: განგების ძალით, ერთი მრწამსით, ერთი გზებით ანთებულნი ერთიანდებიან და ერთობლივად იღვნიან მიზნის მისაღწევად. მით უფრო, როცა



სათავე წმინდაა, წყაროც ხომ ანკარა მოედინება?

სკოლას უკვე 16 წელიწადია სათავეში უდგას შთამომავლობით პედაგოგი, ნამყვანი მასწავლებელი, ღირსების ორდენის კავალერი, იაკობ გოგე-

ბაშვილის სახელობის მედიისა და საპატიო სიგელის, ქვემო ქართლის გუბერნატორის სიგელისა და სხვა მრავალი ჯილდოსა თუ სიგელის მფლობელი, განათლების დარგის ამაგადარი მუშაკი, ქალბატონი ლალი ნაზლაიძე-ერქომიშვილი.

ღირსეულ ღირებულებას ღირსეული მოადგილეობას უწევენ, კოლექტივთან შემოქმედებითად, კოლეგიალურად მუშაობენ ქალბატონები: ნანა ლეკვიშვილი და ნინო დარსალია. ცხადია, სასწავლო პროცესი ყველა მოსწავლეს მოიცავს და სათანადოდ წარიმართება.



ამის ერთი დასტური თუნდაც ისაა, რომ ყველა კურსდამთავრებული სტუდენტი ხდება. მაგრამ მჯობნის მჯობნი ნუ გამოგვილიოს ღმერთმა და ნლეულს სკოლას 12 მედალოსანი ჰყავს. ხოლო 3 წელიწადში კი - 48. ხომ შთამბეჭდავია?

მაგრამ, მოდით, გეგმიურის მიღმა გადავიხედოთ და ვნახოთ, როგორი სულისკეთებით ზრდის სკოლა ყმანვილებს.

ერთ-ერთი მუდმივმოქმედი კონკურსი ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“ მცოდნეთაა სახელწოდებით: „გმირთა ვარამი“ — „საქართველო და ქართველები“.

კონკურსი ყოველი წლის 28 თებერვალს იმართება, ხოლო 10 მარტს, მწერლის დაბადების დღეს, სამთავროს ტაძრის ეზოში მის საფლავთან აჯილდოებენ გამარჯვებულებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით წლეულს კონკურსი მეცხრედ გაიმართა, შარშან კი ამ ღონისძიებამ სრულიად საქართველო მოიცვა და ძალზე საგულისხმო: კონკურსი მოსწავლეთა და ზრდასრულთათვის ცალ-ცალკე იმართება. მასში ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობა.

სჭირდება კი ამას კომენტარი?

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი ქალბატონი ლალია.

იცის ფილოლოგმა ქალბატონმა რუსთველის „არდავი-

წყება მოყვრისა“... და მისი მომდევნო პროექტი ამ სკოლის კურსდამთავრებულის, წესების გარეშე ბრძოლებში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის გურამ გუგუნიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი შეჯიბრებებია ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკსა თუ შაშში.

ქალბატონ ლალის პირველი პროექტის ლოგიკური გაგრძელებაა, ოღონდ, უფრო ყოვლისმომცველი, წლეულს დაწერგილი „გაიციანი საქართველო“. სკოლის ყოველი მასწავლებელი თავისი საგნისა, ან სხვა მიმართულებით ატარებს ღონისძიებებს, რათა ყმანვილებმა უკეთ გაიცნონ სამშობლო, შეისისხლხორცონ მისი ისტორია, სახელოვანი ტრადიციები, შეიგრძნონ ვისი გორისანი არიან, გაიცნონ ღირსეული თანამემამულეები.

პროექტის ფარგლებში ხალხური პოეზიის, ცეკვისა და სიმღერის საღამოები, ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების



საღამოები გაიმართა; ეწვივნენ ეროვნულ, ხელოვნების, ეთნოგრაფიულ, ხალხური საკრავების, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთანმინდის პანთეონს, რუსთავისა და სხვა მუზეუმებს, დედაენის ძეგლს, ქართველ მხატვართა გამოფენებს, შეზენდენ ფერეიდნულ და ინგილო ქართველებს; მონაწილეობენ ქართული ღვინისა და შოკოლადის ქარხნები, მოიწვიეს ქართველი პოეტები და მთარგმნელები; მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაციები ქართულ ფუტკარსა და ღვინოზე, წყალსა და კურორტებზე... მოსწავლეთა თვალსაწიერის გასაფართოებლადევა მონოდებული კომკურსი „რა, სად, როდის?“. ბავშვები დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობენ ამ „ჭკუის საყვარჯიშოში“. გამარჯვებულებები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით ჯილდოვდებიან (ხელმძღვანელი - ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგი, ბატონი შალვა მეკრავიშვილი).

ასეთი გულქართლობის, ჰუმანურობის, ეროვნული შემართების ნიადაგზე აღმოცენდა, უფრო ზუსტად კი, ამ



რამდენიმე წლის წინათ სკოლის ეზოში დაიდგა შოთა რუსთაველის ბიუსტი და სკოლასაც, სრულიად დამსახურებულად, მისი სახელი ეწოდა.

ასევე გაიხსნა დედა ენის ძეგლი და იაკობ გოგებაშვილის კაბინეტი.

აი, ძალზე მოკლედ, ასე ზრდიან, ასე აკვლიანებენ, ასე აქართველებენ ალსაზრდევებს შოთა რუსთაველის სახელობის რუსთავის მე-2 სკოლაში.

კაპტარინა გურბენიძე



გამოხმაურება

გამოხმაურება №1

ი. აბულაშვილისა და ნ. წერეთლის საგაზეთო წერილზე „ჩვენი ცხოვრების გასაკეთილშობილებელი“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ N137. 23 ივლისი, 2013 წელი.)

წერილი ეხება მეტად აქტუალურ თემას - დანაშაულის ჩამდენ პირთა ფსიქიკას, - რატომ სჩადიან ქმედებას, რაც ღმერთისთვის მიუღებელია; ხომ გვასწავლის უფალი (ათი მცნება): არა კაც ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო და ა. შ. მამ, რაშია საქმე? - იმაშია, რომ დანაშაულის ჩამდენმა არ იცის, რაოდენ დიდია ღვთის სიყვარული ჩვენდამი, უფალი ყველაფერს პატიობს, ოღონდ ცოდვა უნდა მოვინანიოთ,

სასჯელი, რომელსაც დამნაშავე იმსახურებს, აუცილებლად აღსრულდება-დასჯის თავისივე ცოდვა, ეს ღვთისმიერაა დაშვებული.

სწორია ავტორის მოსაზრება, რომ სკოლაში უნდა ისწავლებოდეს რელიგიის საფუძვლები; ვერ ვიტყვი, რომ დანაშაულის ჩამდენი პირები არ იქნებიან, მაგრამ მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდება.

მიმაჩნია, რომ ავტორების მიერ შემოთავაზებული მოსაზრებები ყურადსაღებია და საჭიროებს შესრულებას, რისთვისაც მთავრობის ნებაა აუცილებელი; რაც შეეხება ქართულ და არაქართულ სკოლებში რელიგიის საფუძვლების სწავლებას, - უნდა ისწავლებოდეს აუცილებლად.

გამოხმაურება №2

ი. აბულაშვილისა და ნ. წერეთლის საგაზეთო წერილზე „ჩვენი ცხოვრების გასაკეთილშობილებელი“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ N221. 16 ნოემბერი 2012 წელი), რომელიც ეხება სოფლის მეურნეობის, მრეწველობის (მძიმე მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის) ალორძინების საკითხებს.

სავსებით ვიზიარებთ, მათ აზრს სოფლის მეურნეობაში აგროფირმების ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც დასახლებული ობიექტის მოსახლეობის რიცხოვნებაზე დამოკიდებულია. რა თქმა უნდა, აგროფირმა უნდა იყოს მსხვილი სასოფლო საწარმო, სადაც დასაქმდება მუშა ხელის საკმარისი რაოდე-

ნობა, თანაც აგროფერმერი, როგორც ავტორები გვთავაზობენ, უნდა იყოს სახელმწიფო დაქვემდებარებაში, რაც მართებულად, თუნდაც ტექნიკის მოზიდვის და საქმიანობის გაძლოლის თვალსაზრისით.

ავტორებს ყველაფერი გათვალისწინებული აქვთ, რეგიონების მიხედვით. სად, როგორი მიმართულების აგროფირმა უმჯობესი.

მძიმე და მსუბუქ მრეწველობაში ავტორები გვთავაზობენ ინვესტორებთან თანამონაწილეობას, რაც სწორია. რაც შეეხება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, ქუთაისის ავტოქარხანას, მათ სრულ აღდგენას. ეს შეიძლება გარკვეულწილად, სადავო იყოს, - გასათვალისწინებელია ეკოლოგიის მოთხოვნები.

მძიმე და მსუბუქი მრეწველობის სრული სიმძლავრით ამუშავება, ჩვენი ბუნების (გარე პირობებში) მიმაჩნია, რომ არ შეიძლება;

ბუნების ხელყოფა, დაბინძურება დიდი ცოდვაა; მოსახლეობას საფრთხის ქვეშ ვაყენებთ; ასეთი საწარმოები დასაშვებია ქვეყნებში, რომელთაც დიდი სივრცე უკავია (იქაც გარკვეული შეზღუდვით).

მძიმე და მსუბუქი მრეწველობა უნდა განვითარდეს, მაგრამ არა იმ სიმძლავრით, როგორც ეს წარსულში იყო.

ჯამალ ნაჭყაბია,

ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი.

წარმატებული წლის დასასრული



ეკოსრებათ სამეურნეო ნაწილის კოორდინატორებს - თეა სტურუას, ნინო ყურაშვილს და სალომე კვიციანიძეს.

აღნიშნულ საბავშვო დაწესებულებას ყურადღებას არ აკლავს ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო და რაიონის გამგეობა. სწორედ, მათი დამსახურებით ბავშვთა უზრუნველყოფილია სათანადო მოვლით და საკანცელარიო ნივთებით; ასევე, განახლდა ასფალტის საფარი, გაკეთდა უსაფრთხო სათამაშო

უნდა ხდებოდეს ბავშვის საგანმანათლებლო და კრეატიული გარემოს შექმნა. წარმატებით განხორციელდა „სასკოლო მზაობის“ პროგრამა და პატარები მზად არიან სკოლაში წასასვლელად. აქ სულ 5 გამოსაშვები ჯგუფია.

მე-16 ბაგა-ბაღში 42 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვია. მათთან მუშაობს მაღალკვალიფიციური მულტიდისციპლინარული გუნდი: ფსიქოლოგი რუსუდან ლიხიშ-



მაჭარაშვილი, ცირა დვალშივილი და ნანა მჭედლიძე. მათ მხარში უდგანან თანამემშენებლები: ირმა ბარამია, კარინე ავაბაზოვი, ინგა კლანდაძე, ნარი მყავანაძე, ცისმარი არზიანი, ირმა ვარდანიძე, ქეთევან გაჩეჩილაძე, ლალა კაჭარავა, იზოლდა ცირეკიძე, ხათუნა რაზმაძე, ცილა მახარაშვილი, ინგა თოდრია, ეკა ბარამიძე, ნათია ვაჩიშვილი, ნაზიბროლა კალანდაძე, ირმა ჯავახიშვილი, ნათია ჯანელიძე და ნანა გელაშვილი.

საბავშვო ბაღში დიდი ყურადღება ექცევა ჰიგიენას. სააღმზრდელო ჯგუფების მონაწილეობასა და სისუფთავეზე თავდაუზოგავად ზრუნავს ტექნიკური პერსონალი: ლიზა

ლონისძეები: საშემოდგომო, საახალწლო, გამოსაშვები, ბავშვთა საერთაშორისო დღე, გარემოს დაცვის დღე, ნებუნალიას დღესასწაულს „ნებუნალიას“ ზეიმობენ. წლის ბოლოს, ზაფხულის ცხელ დღეებში ეწყობა „წუნაობის“ დღე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში.

ყველა ასაკობრივ ჯგუფში აღინიშნა დაუნის და აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე; ასევე, წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე, სადაც მონაწილე იყო საბავშვო მწერალი გვიჩილიძე.

საბავშვო ბაღის შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებაში დიდი წვლილი მიუძღვით



მოედნები, არის დაპირება, რომ შენობას საფუძვლიანად გაარემონტებენ.

ვილი; ლოგოპედი დონარა ხურცილაძე, სპეც პედაგოგები - ხათუნა ქობულაძე, ნინო

თბილისის მე-16 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებისთვის კეთილმოწყობილი და საიმედო გარემოა შექმნილი, რისთვისაც საბავშვო ბაღს სასწავლო წლის მიწურულს მშობლები მადლობას უცხადებენ. ინფრასტრუქტურა და შენობის ინტერიერი მოწესრიგებულია, ეზო გამწვანებული და დამწვანებული ლამაზი ყვავილებით, დამონტაჟებულია გასართობი ატრაქციონები. ბაგა-ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით.

დირექტორი ლალი რაზრახაძე დიდ ყურადღებას აქცევს არამხოლოდ სააღმზრდელო გარემოს მოწესრიგებას, არამედ პატარების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. საბავშვო დაწესებულება მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული და ეს კარგი მენეჯერისა და მაღალკვალიფიციური კადრების დამსახურებაა. აქ სულ 18 სააღმზრდელო ჯგუფია და როგორც გვითხრეს, სასწავლო წლის დასაწყისში, სააღმზრდელო გარემო ბავშვების მიღებამდე მოწესრიგდა, მოეწყო ცენტრები, სადაც განლაგდა შესაბამისი სათამაშოები. განახლდა ინტერიერი და შემოგარენი.

საგულისხმოა, რომ მე-16 ბაგა-ბაღში მაქსიმალურად დაცულია უსაფრთხოება და ჰიგიენის ნორმები, რომელზეც ზრუნავენ ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის



სააგენტოს ადმინისტრაციისგან ბაგა-ბაღს ახალი მეთოდოლოგიური სახელმძღ-



ბაიდოშვილი, ლედი ნემსწვერიძე, მაგალი ნათარალაშვილი, იულია კაპანაძე. ასისტენტები: ქეთევან ანტონიძე-კვიციანი, ნინო ლეკიაშვილი, ლია ყულიშვილი, ნინო მარი და ნინო ფანცხავა.

აღსანიშნავია, რომ ბაგა-ბაღის აღმზრდელები და მათი თანამემშენებლები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ბავშვებს მიაწოდონ პროგრამით გათვალისწინებული სათანადო ცოდნა და დედობრივი მზრუნველობა არ მოაკლონ. ესენია: ნინა ვაშაქიძე, მანანა კინტარია, დიანა მელაძე, მაია ყაველაშვილი, თამარ ოქროცვარიძე, იულია ნახუცრიშვილი, ნინო ქართველიშვილი, ლეილა ფეიქრიშვილი, ლია მანოშვილი, მანანა საჩიშვილი, ნინო ოქროცვარიძე, ვალიდა ნაცვალაძე, მანანა კასრაძე, თეა ცირეკიძე, ხათუნა კიკვაძე, დალი ონიანი, თამარ ბარბაქაძე, დიანა ბოზოხიძე, ნატალია მორგოშია, იზოლდა სტურუა, ასმათ ხეცურიანი, მზია მარმარაშვილი, ქეთევან ოქროცვარიძე, რიტა ნადარია, ლამზირა ღარიბაშვილ-შალიკაშვილი, ირინე შუბითიძე, ციცინო ჩოხელი, ინგა ლომთაძე, თამარ არახამია, ნინო გულიაშვილი, ხათუნა

ჩაჩანიძე, მარინა ბერიძე, ეკა გადილია, ნელი ხანელიძე, მარინე გუმბერიძე, ნინო მეზაბედიანი, ნინო კალაძე, მედია მჭარაშვილი, მანანა ჩემინავა, მარინა შავლიაშვილი, ელზა ლემონჯავა, ნინა ქენქაძე, თამაზ გორთამაშვილი და გორჩაღვაძე.

აღსაზრდელების კვების მენიუ საგანგებოდ არის შერჩეული, სადაც დაცულია კალორიული, ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. ბავშვებს გემრიელ საკვებს უმზადებენ მზარეულები: ნანი შარაშენიძე, ელენე მოძმანაშვილი, მელანია აბრამიშვილი და მელანო მესხი.

ლალი რაზრახაძის თაოსნობით მრავალი ღონისძიება და თემატური აქტივობა განხორციელდა. დირექტორთან ერთად სასწავლო პროცესში ჩართულია მოადგილე სოფიო სულამანიძე და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი ეთერ ბარსონიძე. სწორედ, მათი თაოსნობით ბაღში იმართება სეზონური

მუსიკის პედაგოგებს: თამარ ნახუცრიშვილს და მარინე კაკაბაძეს. ამჯერად, საგულდაგულოდ ემზადებიან გამოსაშვები ღონისძიებისთვის და ეს დღე მათთვის დაუვიწყარი და ტკბილად მოსაგონარი იქნება.

წარმატებებს ვუსურვებთ აღსაზრდელებსა და მე-16 ბაგა-ბაღის მესვეურთ.

მზია ბოზოქა



კოორდინატორები: ნინო ფირანიშვილი და თეა ნიკლაური. კვებასა და სამეურნეო საკითხებზე პასუხისმგებლობა

ვანელო გადაეცა - ადრეული განათლების კურიკულუმი, რომელიც ბავშვებთან მომუშავე პერსონალს ასწავლის, როგორ





მადონა ქობალია
სკოლის ჭადარი

აბა, ვის გახსოვთ ჩვენი ჭადარი, სკოლის ეზოში ამაყად მდგარი, რამდენჯერ მის ჩრდილს შეფარებიხართ, გიტარებითა ბავშვობა ლალი.

თქვენი ჟივილით ისიც ხარობდა, ამაყად იდგა, თავს ინონებდა, ცისმარე დილით თქვენს გამოჩენას, მშობელი დედა-ისე ხვდებოდა.

ყოველი თქვენი წარმატებები, გულის ფიცარზე დაუნერია, ასი წელია დარაჯად მდგარი თვალმოციმციმე თაობებს ზრდიდა.

ჭადარი მხოლოდ ერთი მოწმეა, ბევრი რამ რჩება მოსაგონარი, როგორ ცოცხლობდა, როგორ ყვაოდა სკოლის კედლებში, იმედი ხვალის.

ახლა არ ისმის იქ ჟრიაბული, ის სიყვარული დარდმა შეცვალა, მხოლოდ გამვლელი ალმაცერ მზერას თუ გააყოლებს, ისიც არ მჯერა.

სკოლის კედლები აღარ იცინის, არ ელოდება თავის ბინადართ, იმედია, რომ არ გავიწყდებათ „ხმელი ნიფლის“ და „გამზრდელის“ სწავლაც.

წასვლაზე ჭადარს არც უფიქრია, ფესვებგამდგარი კვლავაც დარაჯობს, მის საჩრდილობელს ვერ გავიწყვევით, ვალდებული ვართ, ჩვენც მოვეფეროთ.

თუმცა სათქმელი ბევრი ვიძუნწე, ბავშვობა თქვენი მწირად დაეხატე, დაიმახსოვრეთ ჭადრის სიკეთე, ზურგს ნუ შეაქცევთ მესაიდუმლეს.

ამაყი არის დღესაც ჭადარი, იმედინად ფუსფუსებს კვლავაც, თქვენს ნაფეხურზე დილისა ცვარი აბზინებს დანამულ ბალახს.



მზია კვარაცხელია

მტკვარო, მესმის მე შენი ჩურჩული

მტკვარო, მითხარი, შენი დინება, ვინ შეაჩერა, ანდა მითხარი, ვის არ ესმის, შენი დუდუნი, ყველას შენ ხიბლავ, თბილის ქალაქს ვინც რომ ენევევა, ყველას არ ესმის, შენი წუნუნია... ვინც რომ შენია,

სულით ესმის შენი ჩურჩული... გიგებენ მტკვარო! რა განუხებს, რას საყვედურობ, ვერ გაპატიობენ! შენს გულმკერდზე წარმოქმნილ ნალექს, არც უყურებენ, ვინ გეხება, რა გაბინძურებს, ვინ გითხრის მტკვარო! შენ ლამაზ თვალებს... ვხედავ, თელავენ, შენს სიამაყეს, სულში შენს გრძობებს... თითქოს რა იყო, არაფერი მათ არ ანუხებთ, ოხ, როგორ მხიბლავს, წარწარი შენი, მიყვარს შენი ხმა, ჩურჩული შენი... დამშვიდდი მტკვარო! შენი დინება, არ შეაჩერო, ნუ ალელდები სხვების შეხებით, ყველას ნუ ხიბლავ, სილამაზით შენი შეხებების, ვინ მოყვარეა და კიდევ მტკვარო, სამწუხაროდ, ვინ შენი მტერი... უამი დაგვიდგა, სულ სხვა ძნელი, სულ სხვა ძან ძნელი... მტკვარო, ძლიერო! ჩემი სუთქვაც, გთხოვ, რომ, იგრძენი, სხვას არ დაუთმო, საქილიკოდ, შენი გულმკერდი, მიგვიხვდი, მტკვარო! შენ იმ ცოცხალ-მკვდრებს დიდად სჯობიხარ, აღარ გავიქრო, იმედი შენი.

ფანტელივით ცვივა სულში, ფიქრი მასზე, რა მოგველის, ქარში გაფანტული ფიქრებს, საქართველოს რა მოელის?... ზოგი იტყვის გაბრწყინდება, ხშირად მათიც ყურს ჩამესმის, ილუპება საქართველო, ვულაბატეთ, გავყიდეთ და არაფერი შეგვრჩა ხელში. ნაკუნ-ნაკუნ დაიშალა, ერთი ციდა გვყავს უბეში, ვეფერებით, ხოტბას ვასხამთ, აღარ იხსნის ეს ნუგეში... ღმერთო! თქვი რა დავაშავეთ, რა გვჭირს, ასე რომ ვისჯებით, ნეტავ, ნეტავ დადგეს ის დრო, ზეიმობდეს ჩვენი ერი! საქართველო ილუპება, ტყუილია, ნუ იჯერებთ, საქართველო გაბრწყინდება და მხოლოდ ეს დაიჯერეთ.



მაია მეპერიშვილი
ჩემი საქართველო

ჩემი საქართველო, მთებში ახიზნული, ნათელი ფერებით, ციდან წამოსული.

ჩემი საქართველოს ყველა, ქართველები, ირგვლივ მიფანტულან, როგორც გვირილები.

ჩემი საქართველო, სისხლით შეღებილი, მაინც ფეხზე მდგარი, თეთრად შეფერილი.

ჩემი ქართველები, ისე დაფანტულან, ისევ სხვა ქვეყნებში ჩუმად გახიზნულან.

ჩემო საქართველო, ჩემო ქართველებო, ჩემო ემიგრანტო ბევრო მეგობარო!

გულს ნუ გაიტეხავთ, ისევ აყვავდებით, ისევ დაბრუნდებით ჩვენთან ქართველებო.

ჩემი საქართველოს, ყველა ქართველები, ისევ აყვავდებით, უფრო გავიზრდებით.

თებერვლის ქარებს მოყვება დარი მარტი ირევა ვით ნაზი ქნარი, მაგრამ ზაფხული, ეშხი ამინდის მწველია, როგორც ის ბოზა ქალი.

მზე არის მწველი, როგორც არასდროს, არსად არ მახსოვს, კაშკაში მისი, მხოლოდ ზაფხულში ენთება სხივი და ღრმად ჩასწვდება ყველაფერს მიწის.

რა ვუყოთ ფიქრებს, სიცოცხლის შემდეგ, დროება მიდის და არ ჩერდება. არ მაინყდება მე ის თვალები ჩამქრალ სიცოცხლეს, რომ ელიმება.

ლიმილის მიღმა ამხელა სევდა, რამ დაიტია, რამ შეითვისა, საყვარლის საფლავს ისე დაათოვს, წვიმა ცრემლებად, რომ შეინირა.

ისევ ქარია, წარღვნა სულშია, ფიქრებით მაინც სიყვარულია. ცდილობს გაფანტოს ნალველი, სევდა, რასაც თვალებში სიბნელედ ხედავს...

ჩამქრალ თვალებში იმედი ჩანდა, იმედი ხვალის, იმედი თავის, მაგრამ გული რომ ბოლქვასა სცემდა, ვერამ ჩააქრო სიბნელე ავის...

ჩემი სამშობლო

ეს საქართველო, ჩემი სამშობლო, ზეცის და მიწის სასწაულია, აქ თუ წაგიცდა და ფეხი დადგი, ყველა ერისა, აქაური ხარ.

აქ რალაც სიტბო, იზიდავს ყველას, ყველგან მზის სხივის ედება ფარდა, თითქოს სამოთხეს, ისე უცერად, გადმოგიშლიან გრძობების ფარდაც.

კავკასიონის გაშლილი მთები, შეუდარელი სათესნი, ზვრები, ისე აღგვაფრენს, ყველა ჩვენი თანას, ზურმუხტისფერი მიდამო მწველი.

ესაა თითქოს პატარა ზეცა, მაგრამ გაჭიმა მრავალმა ხელმა. ისე ჩაიკლეს თავები ერთად, გამარჯვების უამს მღეროდნენ ერთხმად.

აქ დავიბადეთ და გავიზარდეთ, ენა, მამული აქ შევისწავლეთ, როგორც ქვეყანა, ჩვენი სამშობლო, დაბადებიდან ჩვენც შევიყვარეთ.



ნათელა გომიკავა

გაზეთ „სახალხო განათლების“ ყოფილი საკუთარი კორესპონდენტი, საქ. რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

ვეფხისტყაოსანს

ხელიხელსაგომანებო, ვერ ვნახე შენი სადარი, დასაბამიდან ლიდერობ, აროდეს არ გაყავს ბადალი.

ოქროს ყდაში ხარ ჩასმული, თუ ფერწერა გაქვს უბრალო, მაინც ვარსკვლავებ კაშკაშებ, მთელ სამყაროში უდავოდ.

აგიღებ გულში ჩაგიკრავ, ველარ მოგწყვიტავ მზერასა, ერის საუნჯედ შექმნილო ჩვენივე ბედისწერადა.

წიგნი კი არა მნათე ხარ, ღვთისაგან გამონაშუქი, სამშობლოს მაჯისცემა და ჩირალდანი და პატრუქი.

მსოფლიოს მრავალ ენაზე გთარგმნეს და თავისად გთვლიან, ყველგან ეღვისებო ანათებ, აბრწყინებ ჯურღმულს და წყვიდადს.

ვერც ქარიშხალმა წაგლგვა, ვერც რო ბრძოლებმა საზარმა, სიცოცხლე სძლია ნაძრახი სიკვდილმა სახელოვანმა.

შენ საქართველოს ბურჯი ხარ, სად და სად აღარ ბინადრობ, მთელს კლასიკოსთა შედეგებს სუყველა დროში წინამძღვრობ.

ტარიელი გყავს მედროშედ, მუდამ ნესტანზე მზრუნველი, ავთანდილი და ფრიდონი ორივეს დახსნის მსურველი.

ნესტანი საქართველოა, ახლაც მოელის შევლასა, მაშინდებურად თუ ალსდა ვინლა მოგვიშლის მღერასა.

ხელიხელსაგომანებო, არც დღეს ჩანს შენი სადარი, ერის დიდებად თავკაცობ, არც გეყოლება ბადალი.

ლიტერატურული გვერდი



ზურაბ მამულაშვილი
დის საიუბილეოდ

მარიამ ზეციკლაძე
-მამულაშვილის

ჩემო დაო და სიცოცხლე,
სულზე უტკბესო, მარიამ,

რა დრო გასულა, ძვირფასო,
იტყვი, სად გაქრა ეს წლები,

მოგნატრებია მშობლები,
სკრის სახლი, ბაღა-ბაღები,

„პარკში“ რომ დანავარდობდი
უდარდელად და ხალხით,

თუ ვინმე წაგჩუბებია,
პირველი მუდამ შენ თობიდი,

რა ვუყოთ, თუკი ცხოვრება
დაუნდობელი რამ არის,

დიდხანს იყავი ამ ქვეყნად,
დედად, ბებიად, დიდედად,



ეთო გორგილაძე - 50

50 წლის გავხდი დღეს და,
რამდენი რამ ვნახე..

ცრემლებით და გოდებით,
შევძელ, დღემდე მოვედი.

დღეს კი დილის გათენებას,
სხვანაირად მოველი,

დღეს იმ წარსულს მივსტირი,
სადაც სევდით ვიდოდი,

მე შვილებით ბედნიერი,
და ამაყი ვიყავი,

ნაბოლარა შვილს დავსტირი,
გადაწონა ტანჯვა ძველი

არაფერი არ გვერგება,
ნეტა, რა გაგვხარებს,

ამ ცხოვრებამ მაძიულა,
რომ მე ტანჯვით ვიარო,

დღეს მე უკვე გათენება,
არ მახარებს დილის,

ორმოცდაათიც დაწინაურე,
ასე ხომ არ მინდოდა,

ის დამპირდა - რესტორანში
აგინიშნავ დედა,

მანამდე კი,სალონში
უნდა წაგიყვანო,

შენ ხარ დედა, გმირი ქალი,
იმსახურებ სიხარულს,

დარჩენილი წლები დედი,
მინდა გაგილაზავო,

დარჩენილი წლები დედი,
მინდა გაგილაზავო,

შენ ხარ დედა, გმირი ქალი,
იმსახურებ სიხარულს,

შენს იმედად ჩემო შვილო,
მომავლის მჯეროდა,

შენი სიტბო და სიმშვიდე,
ტკბილ სიბერეს მიხატავდა,

შენ ცხოვრება შემაცყვარე,
ოცნებებით ამავეს,

მოგონებად დარჩა შვილო,
ჩვენი წამი ყოველი,

ნოდარ კობახიძე - 83



ოჩამჩირლების კავშირი „ერთობა“
ამავე კავშირის წევრები, მეგობრები

ივნისს, 2023 წელს შეუსრულდება.
უსურვებენ წარმატებებსა და წინსვლას პირადასა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სამახსოვრო ტურნირი
ნარდში

1991-1992 წლებში აფხაზეთში კონფლიქტური მოვლენების დროს დაღუპულების პატივსაცემად გაიმართა სამახსოვრო ტურნირი ნარდში.

ტურნირი, რომლის ორგანიზატორი იყო ოჩამჩირის კავშირი „ერთობა“, თბილისში ჩატარდა.

ტურნირის ჩატარება გადამწყვეტა ოჩამჩირელის თხოვნით, რომლებმაც დაკარგეს ახლო ნათესავები.

მონაწილეობდა 64 ადამიანი, მეორე ნაწილში მათი რაოდენობა შემცირდა 32-მდე.

ტურნირის მონაწილეთა დიდი რაოდენობის გამო ტურნირი გაგრძელდა ორი დღის განმავლობაში.

ტურნირის დასაწყისამდე ჩატარდა „უერებოვკა“ (მონაწილეები გადანაწილდნენ წყვილებში).

ტურნირი მიმდინარეობდა ოჩამჩირის მუზეუმში „კავშირი ერთობა“, რომელიც მდებარეობდა თამარაშვილის ქუჩაზე 15 ნომერში.

ტურნირის ორთაბრძოლის ფინალური ნაწილი გამაფრდა მოთამაშეებს შორის.

თამაზ ჩიქოძე, ომარ ყვანია, ნოდარ კობახიძე, რაულ ჯანაშია, გივი ჩხეტი, თემურ ჩიქოძე.

სსოვნის ტურნირი ჩატარდა ოლიმპიური სისტემით, სადაც ფინალი დაიწყო ჩვენი ქვეყნის, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს 2023 წელს 11 საათიდან.

გამარჯვებულის გამოსავლენად ფინალი მიმდინარეობდა 5 საათის განმავლობაში.



ტურნირის პრიზიორები: თამაზ ჩიქოძე, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე

საბოლოოდ პირველი ადგილი დაიკავა თამაზ ჩიქოძემ, მეორე - რაულ ჯანაშიამ და მესამე - ნოდარ კობახიძემ.

სამივე პრიზიორი დაჯილდოვდა დიპლომებით, მედლებით და სპეც. პრიზებით.

მთავარი მსაჯი გახლდათ თენგიზ ნორაკიძე, მსაჯი - მდივანი - დავით ძალაშიძე.

კომისიის მეთვალყურეობით: ლორენცო შარანგია, იურა დონია, რეზო ჩხეტი, პავლე კვაჭახია.

თენგიზ ნორაკიძე, სპორტის ოსტატი

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თბილისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედაქტორია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N5 (4612)
7 ივნისი / 2023 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113
9 771987 911009